



საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით გამართული შიდა ჩემპიონატების რეგულაციები COVID-19 ეპიდემიის პირობებში

ვალდებულებები COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის
(შემდგომი მითითებები ეფუძნება ჯანმრთელობის, საქართველოს მთავრობის, ჯანდაცვის და სპორტის სამინისტროების და სრკ სამედიცინო სამსახურის დადგენილებებსა და მეოთხე რეკომენდაციებს)

სარაგბო ბაზის ვალდებულებები

სარაგბო ბაზა ვალდებულია უზრუნველყოს COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციული ზომები, რის განსახორციელებლადაც სავალდებულოა, რომ:

- ყველა დახურული სივრცის შესასვლელში განათავსოს:
 - დეზობარიერი.
 - სანიტაიზერი სპირტის შემცველი სადემინფექციო ხსნარით.და უზრუნველყოს მათი შესაბამისი გამოყენება სივრცეში ყოველი შესვლა-გამოსვლისას.
- გამოყოს იზოლაციის ადგილი იმ პირის ინდივიდუალური მართვისთვის, რომელიც შეუძლოდ გახდება (COVID-19-ზე ეჭვით) მატჩის დღეს. ასეთი შემთხვევის არსებობისას აცნობოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს ნომერზე 112.

ვარჯიშების დროს:

- განახორციელოს ღონისძიების ადგილზე ყველა შემსვლელის თერმო-სკრინინგი დისტანციური თერმომეტრით.
- ბაზის ყოველ თანამშრომელს მოსთხოვოს სათანადოდ შევსებული COVID-19 სიმპტომების სკრინინგის ფორმა (დანართი 1).
- განახორციელოს ღონისძიების ადგილზე ყოველი შემსვლელის აღრიცხვა მოცემული ოქმის მიხედვით (დანართი 2).
- ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია შეინახოს 2 კვირის მანძილზე.
- თამაშის შემდეგ განახორციელოს სივრცის დამუშავება სადემინფექციო ხსნარით.
- იმ შემთხვევაში თუ გუნდი არ ემორჩილება სარაგბო ბაზის რეგულაციებს COVID-19 პირობებში ვარჯიშის განხორციელების შესახებ, ბაზის დირექტორმა გუნდს უნდა მისცეს გაფრთხილება და ამის შესახებ წერილობით აცნობოს სრკ სამედიცინო სამსახურს. თუკი გუნდი ორი ამგვარი გაფრთხილების მიუხედავად მესამედაც არ დაემორჩილება აღნიშნულ რეგულაციებს, ბაზა იტოვებს უფლებას აუკრძალოს გუნდს ბაზით სარგებლობა.



თამაშის დღეს:

- განახორციელოს ღონისძიების ადგილზე ყოველი შემსვლელის თერმო-სკრინინგი დისტანციური თერმომეტრით.
- თამაშის მომსახურე ყოველ პირს მოსთხოვოს სათანადოდ შევსებული COVID-19 სიმპტომების სკრინინგის ფორმა (დანართი 1).
- განახორციელოს ღონისძიების ადგილზე ყოველი შემსვლელის აღრიცხვა მოცემული ოქმის მიხედვით (დანართი 2).
- ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია შეინახოს 2 კვირის მანძილზე.
- თამაშის შემდეგ განახორციელოს სივრცის დამუშავება სადებიზინფექციო ხნარით.

არ დართოს ღონისძიების ადგილზე შესვლის ნება:

- თამაშის მომსახურე არცერთ პერსონალს, რომელიც დადებითად უპასუხებს სიმპტომთა სკრინინგის ფორმის ნებისმიერ პუნქტს (დანართი 1).
- არცერთ იმ პირს, ვისაც თერმო-სკრინინგით აღენიშნება 37.0°C ან უფრო მაღალი ტემპერატურა.
 - 37.0°C ის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ტემპერატურის ხელმეორე გაზომვა 15 წუთის შემდეგ. თუ მეორედაც დაფიქსირდა იგივე ან მეტი ჩვენება, პიროვნება არ უნდა დაიშვას სივრცეში და უნდა ეცნობოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს ნომერზე 112. თუ მეორე გაზომვით დაფიქსირდა 37.0°C -ზე დაბალ ტემპერატურა შესაძლებელი იქნება ამ პიროვნების დაშვება.

მონაწილე გუნდების ვალდებულებები

მონაწილე გუნდის შემადგენელმა ყოველმა პირმა (მოთამაშებმა, მწვრთნელებმა, დამხმარე პერსონალმა) უნდა იზრუნოს COVID-19 ინფექციის პრევენციაზე. ამის განსახორციელებლად ყოველი გუნდი ვალდებულია:

- დაეცემოდებაროს ჩემპიონატის ყველა რეგულაციას COVID-19 ინფექციის პრევენციასთან მიმართებაში.
- ჰყავდეს დანიშნული საკუთარი COVID-მენეჯერი რომელსაც უნდა ჰქონდეს გავლილი მსფლიო რაგბის ონლაინ მოდულები: "COVID-19 – თამაშში დაბრუნების გაცნობიერება ადმინისტრატორებისთვის" და "COVID-19 – თამაშში დაბრუნების გაცნობიერება მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის" და აგრეთვე, სრკ სამედიცინო სამსახურის მიერ ჩატარებული გადამზადება COVID-მენეჯერებისათვის.
- მოსთხოვოს გუნდის შემადგენელ ყოველ პირს (მოთამაშებს, მწვრთნელებს, დამხმარე პერსონალს), რომ გაიაროს მსფლიო რაგბის ონლაინ მოდული: "COVID-19 – თამაშში დაბრუნების გაცნობიერება მწვრთნელებისა და მოთამაშეებისთვის".



ვარჯიშების დროს:

- დაევემდებაროს სარაგბო ბაზის რეგულაციებს COVID-19 პირობებში ვარჯიშის განხორციელების შესახებ.
- განახორციელოს სავარჯიშო სივრცეში ყველა შემსვლელის თერმო-სკრინინგი (დისტანციური თერმომეტრით) და COVID-19 სიმპტომების სკრინინგი (დანართი 1-ით ან სრკ სამედიცინო სამსახურის მიერ შემუშავებული ელექტრონული ვერსიით).
- განახორციელოს სავარჯიშო სივრცეში ყველა შემსვლელის აღრიცხვა მოცემული ოქმის მიხედვით (დანართი 2).
- აღნიშნული დოკუმენტაცია შეინახოს 2 კვირის მანძილზე.

თამაშის დღეს:

- სათამაშო სივრცეში შეიყვანოს მხოლოდ თამაშის გასამართად აუცილებელი პირები (დანართი 3).
- სათამაშო სივრცეში არ შეიყვანოს გუნდის შემადგენელი არცერთი ის პირი, რომელიც ბოლო 12 დღის განმავლობაში ჩატარებული ყოველდღიური თერმოსკრინინგის ან სიმპტომების სკრინინგის (დანართი 1 ან სრკ სამედიცინო სამსახურის მიერ შემუშავებული ელექტრონული ვერსიით) საფუძველზე აღძრავს ეჭვს COVID-19 ინფექციის სავარაუდო არსებობაზე ან აქვს COVID-19 ინფექციის დადასტურებული დიაგნოზი.
- მატჩის კომისარს ჩააბაროს სათანადოდ შევსებულ ცნობა COVID-19 ინფექციის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ (დანართი 4), რომელიც ხელმოწერილი იქნება გუნდის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ.
- სხვა ქალაქიდან ჩამოსული გუნდები განთავსდნენ იმ სასტუმროებში, რომელთაც გააჩნიათ ოფიციალური ნებართვა სტუმრების მიღებისა COVID-19 ეპიდემიის პირობებში.

მორაგბის ინფიცირების შემთხვევაში:

- მორაგბისთვის COVID-19 ინფექციის დადასტურების შემთხვევაში მთელი გუნდი ექვემდებარება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებებს.

მატჩის კომისრის ვალდებულებები

- დაევემდებაროს ჩემპიონატის ყველა რეგულაციას COVID-19 ინფექციის პრევენციასთან მიმართებაში.
- ღონისძიების ადგილზე შესვლისას წარადგინოს სათანადოდ შევსებული COVID-19 სიმპტომების სკრინინგის ფორმა (დანართი 1 ან სრკ სამედიცინო სამსახურის მიერ შემუშავებული ელექტრონული ვერსიით).
- არ გასცეს თამაშის დაწყების ნებართვა, თუკი მასპინძელი გუნდი თამაშის დასაწყისისთვის არ წარმოადგენს სასწრაფო დახმარების მანქანას. გუნდს ეძლევა კიდევ 30 წუთი ათვლილი



თამაშის დაწყების დათქმული დროიდან, რათა მოიყვანოს სასრაფო დახმარების მანქანა. თუ ამას ვერ განახორციელებს, მასპინძელ გუნდს ჩაეთვლება წაგება. აღნიშნული ძალაშია მხოლოდ დიდი 10-ის და პირველი ლიგისთვის.

- მოთამაშე გუნდებს მოსთხოვოს სათანადოდ შევსებული ცნობა COVID-19 ინფექციის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ (დანართი 4), რომელიც ხელმოწერილი იქნება გუნდის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ.
- არ გასცეს თამაშის დაწყების ნებართვა, თუ რომელიმე გუნდი არ წარმოდგენს აღნიშნულ ცნობას.
- თამაშის შემდეგ აღნიშნული ცნობები ჩააბაროს საშეჯიბრო კომიტეტს.



COVID-19-ის სიმპტომების სკრინინგის ფორმა

ეს ფორმა უნდა იქნეს გამოყენებული იმაში დასარწმუნებლად, რომ თქვენ არ გაქვთ COVID-19-ის სიმპტომები და წარმოადგენთ ნაკლებ რისკს სხვებისთვის.

თარიღი: დღ | თე | 2020

სახელი, გვარი: _____

ტელეფონი: _____ ელ. ფოსტა: _____

კითხვარი

(გთხოვთ, სწორ პასუხს დაუსვათ X და არ დატოვოთ უპასუხოდ არცერთი კითხვა)

ამჟამად დასმული გაქვთ COVID-19-ის დიაგნოზი ან ფიქრობთ, რომ შეიძლება გქონდეთ COVID-19?

კი	არა
----	-----

გქონდათ თუ არა კონტაქტი COVID-19-ის დადასტურებულ ან საგარეუდო შემთხვევასთან გასული 12 დღის განმავლობაში?

კი	არა	შესაძლოა
----	-----	----------

გქონდათ თუ არა COVID-19-ის შემდეგი სიმპტომები ბოლო 12 დღის განმავლობაში?:

მაღალი ტემპერატურა (ცხელება)

კი	არა
----	-----

ახალი, უწყვეტი მშრალი ხველა

კი	არა
----	-----

ახალი, აუხსნელი სუნთქვის უკმარისობა

კი	არა
----	-----

ახალი, აუხსნელი დაღლილობა, დაქანცულობა

კი	არა
----	-----

ახალი, აუხსნელი კუნთების ტკივილი

კი	არა
----	-----

ყელის ტკივილი

კი	არა
----	-----

გემოს დაკარგვა

კი	არა
----	-----

ცნოსვის დაკარგვა

კი	არა
----	-----

თუ თქვენ უპასუხებთ „კი“ ნებისმიერ ამ შეკითხვას, უნდა დარჩეთ სახლში და აცნობოთ თქვენს მენეჯერს და ექიმს.

თქვენ უნდა დაიცვათ თქვენს ტერიტორიაზე მოქმედი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ამჟამინდელი მითითებები.

ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და ვაცნობიერებ, თუ რა პოტენციური საფრთხის წინაშე ვაყენებ სამოგადობას არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში.

ხედავთ

შემდეგი შეკითხვა განკუთვნილია მხოლოდ სამედიცინო პერსონალისთვის:

განხორციელდა თუ არა ინფექციის პრევენციის ყველა ღონისძიება, შესაბამისი პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენებასთან ერთად, COVID-19-ით ინფიცირებული დადასტურებული ან საეჭვო პაციენტების გასინჯვისას გასული 12 დღის განმავლობაში?

კი	არა	უცნობია
----	-----	---------



ლონისძიების ადგილზე შემსვლელთა აღრიცხვის ოქმი

სარაგბო ბაზა: _____

ჩემპიონატი: _____

#	თარიღი	დრო	სახელი და გვარი	ტელეფონი
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
17				
18				
19				
20				
21				
22				
23				
24				
25				
26				
27				
28				
29				
30				



თამაშის გასამართად აუცილებელი პირების ჩამონათვალი

პერსონალი	რაოდენობა
მასპინძელი გუნდი	
მოთამაშეები	23
თანმწლები სამედიცინო პერსონალი	2
ტექნიკური ნაწილი (წყლის მიმტანები)	2
მწვრთნელი (მთავარი, ასისტენტი, ფიზმომზადება)	3
მენეჯერი	1
ჯამი	31
სტუმარი გუნდი	
მოთამაშეები	23
თანმწლები სამედიცინო პერსონალი	2
ტექნიკური ნაწილი (წყლის მიმტანები)	2
მწვრთნელი (მთავარი, ასისტენტი, ფიზმომზადება)	3
მენეჯერი	1
ჯამი	31
მატჩის მომსახურე პერსონალი	
სასწრაფო დანმარების ბრიგადა	3
დაცვა	6
მსაჯები	4
მატჩის კომისარი	1
მატჩის სტატისტიკოსი	1
მეზურთეები და მათი ხელმძღვანელი	6+1
ადმინისტრაცია	8
კომენტატორები	2
გარე გადაადგილებადი ტელესადგური	2
ტელევიზიის ოპერატორები	6
დიდი ეკრანის და სტადიონის მაცნე	2
ჯამი	42
საერთო ჯამი	104



ცნობა გუნდში COVID-19 ინფექციის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ

თარიღი: _____

გუნდი: _____

ლიგა: _____

გუნდის წევრებთან (მოთამაშეებთან, მწვრთნელებთან, პერსონალთან) ჩატარებული თერმო და სიმპტომური სკრინინგით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობთ ვაცხადებ, რომ გუნდის წევრები:

- ამჟამად არ არიან ინფიცირებულნი COVID-19-ით.
- არ ჰქონიათ COVID-19-თან დაკავშირებული სიმპტომები ბოლო 12 დღის განმავლობაში.
- არ იყვნენ კონტაქტში ინფიცირებულ ან პოტენციურად ინფიცირებულ პირთან ბოლო 12 დღის განმავლობაში.
- ინფიცირებული ან პოტენციურად ინფიცირებული პირის გასინჯვისას ბოლო 12 დღის განმავლობაში გუნდის სამედიცინო პერსონალმა დაიცვა ინფექციის პრევენციის ყველა ღონისძიება.

გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი:

სახელი და გვარი (გარკვევით): _____

პირადი ნომერი: _____

ხელმოწერა: _____